ოქმი:ო31. 3123088001
თარიღი:29/03/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N4

ქ. ლანჩხუთი

23. 03. 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს, ასევე მეხუთე საკითხი დაზუსტების მიზნით უნდა იქნას ამოღებული დღის წესრიგის პროექტიდან.
საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ეკა გუჯაბიძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის ჩიბათელი მხედრების სახელის მინიჭების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

8. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

11. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

12.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

13. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

14. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.

მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ. ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება (მათ შორის შედეგების შეფასების ნაწილში გენდერული ინდიკატორები). 2022 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 5312,3 ათასი ლარი. 2022 წელს ფულადი სახსრების (ნაშთის) გამოყენებამ შეადგინა 70,8 ათასი ლარი, 2023 წლის 1 იანვრისათვის ნაშთმა შეადგინა 5241,5 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური

აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 27592.08 ათასი ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 28319.65 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102.6%. მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 27281,8 ათასი ლარი, ფაქტობრივად 27951,4 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 102.5% და მთლიანი შემოსულობების - 98.7% შეადგინა. ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1349,9 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 604.1 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 35,5 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 882,8 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი – 1307,0 ათასი ლარი) შედარებით 42,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის. დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 10478,7 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი - 8471,5 ათასი ლარი) შედარებით 2007,2 ათასი ლარით მეტია მიღებული. საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 13443,4 ათასი ლარი, მათ შორის: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 13443,4 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 1084,8 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი – 1529,9 ათასი ლარი , კაპიტალური ტრანსფერი 6312,8 ათასი ლარი, სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4515,8 ათ ლარი. საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 2680,8 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 2679,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 99,9%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წლის ფაქტი – 3365,3 ათასი ლარი) შედარებით 685,9 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად ჯარიმების, სანქციების და საურავების ხარჯზე მოდის მათ შორის: რენტის სახით მობილიზებულია 154,7 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 145,5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 9.2 ათასი ლარი. ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 231,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (232.0 ათასი ლარი) 99,9%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 224,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (219.0 ათასი ლარი) 102,4%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული 0 1000 2000 3000 4000 5000 6000 7000 მიზნობრივი სპეციალური კაპიტალური სხვა კაპ. ტრანსფერები სულ გრანტები 2022 წ. მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 224,3 ათასი ლარი. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 7,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (13.0 ათასი ლარი) 57,0%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (6,2.0 ათასი ლარი) შედარებით 1,2 ათასი ლარით მეტია. მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 25,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (30.0 ათასი ლარი) 60.9%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 25,3 ათასი ლარი . სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 1927,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (1975,8.0 ათასი ლარი) 97,5%-ია და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (3080,6 ათასი ლარი) შედარებით 1153,6 ათასი ლარით ნაკლებია. ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 340,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (333,0 ათასი ლარი) 102,3%-ია. მათ შორის: წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 0,4 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 340.0 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი - 0,3 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 368,2 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 127,6 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 240,6 ათასი ლარი. 2022 წელს გადასახდელების შესრულების 85,4%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის (128,9%) ტოლია, ხოლო თანხობრივად (2021 წელთან შედარებით) დახარჯულია 6367,7 ათასი ლარით მეტი. გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 33226.3 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 28390.5 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 85.4%-ია. მათ შორის: ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16935.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 15890.5 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 93.8%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 56%-ია. არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16232.3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო

ხარჯმა - 12442.0 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 76.6%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 43.8% ია. ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 58.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 58.0 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 99.8%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 0.2%-ია. „შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 6508.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6165.8 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 94.7%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 38.8%-ია. „საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 6933.8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 6679.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.3%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 42.0%-ია. ,,პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 31.9 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 28.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.0%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0.2%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე. „სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 832.6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 732.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.0%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 4.6%-ს შეადგენს. „გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 15.7 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 10.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 95%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 0.1%-ს შეადგენს. „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 951.5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 916.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.3%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 5.8%-ს შეადგენს. „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: Ø ბიკარბონატული ჰემოდიალეზითთირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი - 25,1 ათასი ლარი; Ø მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა -37,6 ათასი ლარი Ø სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა- 183,2 ათასი ლარი Ø მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა 129,8 ათასი ლარი Ø იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა 12,2 ათასი ლარი Ø ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 54,6 ათასი ლარი Ø მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 82,2 ათასი ლარი Ø მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა 54,7 ათასი ლარი Ø ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა 111,6 ათასი ლარი Ø მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამა 19,7 ათასი ლარი Ø ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტის დაფინანსების პროგრამა 54,9 ათასი ლარი Ø აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 45,0 ათასი ლარი „სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1677,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1367,2 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 81,5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 8.6%-ია. „სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: Ø ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა - საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლუატაცია და რეაბილიტაციის ხარჯი 875,9 ათასი ლარი Ø საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა 39,4 ათასი ლარი Ø სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელთა ფინანსური მხარდაჭერის და წარმატებული მოსწავლეების წახალისების ღონისძიებები - 13,8 ათასი ლარი. Ø განათლების და კულტურის ხელშეწყობის ხარჯები 25,3 ათასი ლარი. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 7104,9 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის (9097,9 ათასი საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება თავდაცვა ეკონომიკური საქმიანობა გარემოს დაცვა საბინაო კომუნალური მეურნეობა ჯანმრთელობის დაცვა დასვენება და კულტურა განათლება სოციალური დაცვა 2022 წელი ლარი) 78,1%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 25,1%-ს შეადგენს. მათ შორის: აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 4122,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (4588,8

ათასი ლარი) 89.8%-ია; ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 86,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 96,3%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2895,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (4657 ათასი ლარი) 62,1%-ია. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 203,2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 176,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 86,9%-ია, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 0.6%-ს შეადგენს. ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 8173,2 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 7176,8 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 87,8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 25,3%. მათ შორის: ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 7154.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (8051,0 ათასი ლარი) 88,8%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 22,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (22,1 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს. გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1884,0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1878,5 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 99,7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 6,6%. მათ შორის: ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 1878,5 ათასი ლარი, რაც გეგმის (1884,0 ათასი ლარი) 99,7%-ია; საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 5337,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3713,1 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 69,6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 13,1%. მათ შორის: ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 974,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1332,8 ათასი ლარი) 73,1%-ს შეადგენს; წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 112,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (374,0 ათასი ლარი) 30,2%-ს შეადგენს; გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 866,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (891,4 ათასი ლარი) 97,2%-ს შეადგენს; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 1759,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2739,2 ათასი ლარი) 64,2%-ს შეადგენს. ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 173,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 165,8 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 95,8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0,6%. მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 165,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (173 ათასი ლარი) 95,8%; დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 3457,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3399,1 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 98,3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 12,0%. მათ შორის: მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 1461,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1465,9 ათასი ლარი) 99,6%; მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 1580,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1634,7 ათასი ლარი) 96,7%-ს შეადგენს; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 357,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (357,2 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს. განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 3883,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 3784,8 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 97,4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 13,4%. მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 2725,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (2730 ათასი ლარი) 99,8%-ს შეადგენს; ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 1059,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (1153,8.0 ათასი ლარი) 91,8%-ს შეადგენს; სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 957,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 933 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 97.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 3,3%. მათ შორის: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 191,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (194,7 ათასი ლარი) 98,6%-ს შეადგენს; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 3 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 54,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (54,7 ათასი ლარი) 100%; სოციალური გაუცხოების საკითხებში, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას დაფინანსებამ შეადგინა 40,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (40,2 ათასი ლარი) 100%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 643,3ათასი ლარი, რაც გეგმის (665,4 ათასი ლარი) 96,6%-ს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან,

გამოყოფილი 79,785 ათასი ლარიდან გადარიცხულია 79,8 ათასი ლარი. მათ შორის: უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ფარმაცევტული პროდუქტების შეძენისთვის 9,9 მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის - 59,9 ათასი ლარი, უბედური შემთხვევის შედეგად (ხანძარი, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად აფეთქება და სხვა) დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად - 10,0 ათასი ლარი. სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 86,7 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმური მაჩვენებლის (90 ათასი ლარი) 96,3%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 28,7 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 58,0 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოადგენს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდთან მუნიციპალიტეტში ნაგვის გადაზიდვისთვის განკუთვნილი მანქანებისთვის 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაფარვას. ინფრასტრუქტურა - 10870,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (13490,7 ათასი ლარი) 80,6%- ია; დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1898,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (1904,0 ათასი ლარი) 99,7 % განათლება - 3784,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (3883,8 ათასი ლარი) 97,4%-ია; კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი 3399,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (3457,8 ათასი ლარი) 98,3%-ია; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1098,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (1130,8 ათასი ლარი) 97,2%-ია; მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 7339,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (9359,2 ათასი ლარი) 78,4%-ია, მათ შორის ტურიზმი 2953,4 ათასი ლარით, გეგმის (4467,1 ათასი ლარი) 66,1 % -ია. 2022 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად გამოყოფილი იქნა ჯამში 4 955 053 ლარი. აღნიშნული თანხით შესრულდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, ჯიხეთის დედათა მონასტრის ტერიტორიის ელექტრიფიცირების სამუშაოები, მრავალბინიანი სახლის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები და ასევე მრავალბინიანი სახლის საძირკვლის გამაგრების სამუშაოების შესყიდვა. ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით დაემატა 860 949 ლარი. საერთო ჯამში ტენდერების სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 5 816 002 ლარს. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 54 სოფელზე გამოყოფილი იქნა 748 000 ლარი, რომლის ფარგლებში გაფორმებული იქნა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების საფუძვლით 17 ხელშეკრულება რომლის საფუძველზე განხორციელებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 445 380.81 ლარის და 6 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის საფუძვლით რომის საფუძველზე განხორციელებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 268 705.97 ლარს. სერთო ეკონომია გამოყოფილ თანხასა და განხორციელებული სამუშაოების ღირებულებას შორის შეადგენს 33 913.22 ლარს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯმა შეადგინა 839,795 ლ. ,,ლელობურთი“-ს ორგანიზება 8810 ლარი ლიტერატურული კონკურსი პროზასა და პოეზიაში ,,მთიები“ 3 საპრიზო ადგილი 1350 ლარი ,, დასავლეთ საქართველოს საერთაშორისო კონკურს ფესტივალზე ,,სენაკი არტ-ფესტივალი 2022 გამარჯვებულების წახალისება 6700 ლარი მე-14 ეროვნულ კონკურს-ფესტივალზე ,,მომავლის ვარსკვლავები“ სამხატვრო სკოლის მოსწავლეების და პედაგოგების წახალისება 1600 ლარი ,,ელექტრონული მუსიკის საღამოს“ თანადაფინანსება, პროექტის საერთო ღირებულებაა 2 500 ლარი -,, თევზის ფესტივალი/fish festival“ თანადაფინანსება 300 ლარი 05 02 02 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება 100% გეგმა შესრულება სულ 29,000 29,000 ადგილობრივი 29,00 29,00 10 0 % განმარტება 2021 წელს covid 19 თან დაკავშირებით არსებულმა რთულმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ და ამასთან დაკავშირებით არსებულმა რეგულაციებმა გამოიწვია უმეტესი ღონისძიებების გაუქმება, ან ნაკლები მასშტაბით ჩატარება რაც აისახა შესრულების პროცენტულ მაჩვენებელზე. ლანჩხუთელი წარმატებული სპორტსმენების წახალისების მიზნით გაიხარჯა 6 100 ლარი.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ შემდგომში წლის ბიუჯეტის ანგარიში საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი იქნება პროგრამა **PowerPoint-**ის სახით, რადგან ხილული იყოს, თუ როგორ გამოიყურებოდა ობიექტები ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამდე და განხორციელების შემდგომ. ის ასევე დაინტერესდა, არის თუ არა 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ქ.ლანჩხუთში ხომერიკის ქუჩის მოწესრიგება.

საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ის მხარს ვერ დაუჭერს 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, რადგან მას არ ახლავს აუდიტის დასკვნა და

დაიკარგება ნდობის ფაქტორი, თუ საკრებულოს მიერ მხარდაჭერილი დოკუმენტი შემდგომში აუდიტის მიერ უარყოფითად იქნება შეფასებული.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს არსებული ფულადი სახსრების ხარჯვას, აუცილებლად უნდა იყოს გამყარებული აუდიტის დასკვნით. ის ასევე დაინტერესდა, გასულ წელს, წარმატებული პროექტების გარდა, იყო თუ არა წარუმატებელი პროექტებიც, რომლებიც ვერ შესრულდა გარკვეული მიზეზების გამო.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ კერძო აუდიტის მოწვევა, კანონმდებლობის ფარგლებში არ არის სავალდებულო, მაგრამ საკრებულოს აქვს უფლებამოსილება მოიწვიოს იგი სრული შემადგენლობის 1/3-ის მხარდაჭერით. მან აღნიშნა, რომ ისაუბრა თითოეულ შეუსრულებელ პროექტზე და მათ გამომწვევ მიზეზებზე. კერძოდ, ევროკავშირის მიერ გამოყოფილი იყო გრანტი პროექტზე, რომლის მიხედვითაც უნდა გაკეთებულიყო ველობილიკი ორაგვის მთიდან ჯუმათის მონასტრამდე, მაგრამ მეწარმის მიერ მოხდა ხელშეკრულების პირობების დარღვევა და მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, პროგრამა ვერ განახორციელა. შესაბამისად, ასეთი მეწარმეები იქნა დისკვალიფიცირებული და საქმე მუნიციპალიტეტის მიერ გადაიგზავნა შესაბამის უწყებებში. ამის შემდგომ, ორჯერ გამოცხადდა ტენდერი და ორივეჯერ ჩავარდა. მიმდინარე წელს კიდევ გამოცხადდა ტენდერი, გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდება ახალი ხელშეკრულება და ეს პროექტი დასრულდება. გარდა ამისა, მეწარმეები, რომლებიც არაკეთილსინდისიერად იქცეოდნენ, ან ჰქონდათ რაიმე ტიპის დარღვევები, დაჯარიმდნენ 340000 ლარით, რომელიც მობილიზებული იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ინფორმაცია ამა თუ იმ პროექტის შესახებ დეტალურად შესაძლებელია მოძიებული იქნას შესყიდვების გვერდზე ან მოხდეს გამოთხოვნა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** ასევე განმარტა, რომ საკრებულოს მიერ მოწონებული, 2022 წელს დაწყებული ქუჩების მოწესრიგება, მათ შორის ხომერიკის ქუჩისაც, დასრულებული იქნება მიმდინარე წელს გამოყოფილი თანხებით და ასევე დასრულდება შუხუთი-გაგურის გზის მოწესრიგებაც.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 3 წევრი (კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე და ირმა მგელაძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N16 (23.03.2023).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. მუხლი 1. საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან

მიმართებით უნდა გაიზარდოს: ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ; ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2 - ჯერ; გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1,5 - ჯერ; დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3 -ჯერ. მუხლი 2. საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 3 1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექმნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში. მუხლი 3. ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია: ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.2 პროცენტი. ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი. მუხლი 4. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში: N მიწის კატეგორიები გადასახადების განაკვეთები ლარი/ჰა 1 სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული) 20.00 2 საძოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული) 16.00 3 სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით 73.00 დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე,) 4 საკარმიდამო 73.00 5 სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის ა) სათიბი 20.00 ბ) საძოვარი 16.00 გ) სახნავი 73.00. მუხლი 5. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის (შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე 3 ლარით“. მუხლი 6. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში: N ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ტერიტორიული კოეფიციენტი საბაზისო განაკვეთი 1მ 2-ზე (ლარებში) წლიური გადასახადის განაკვეთი 1 მ 2-ზე (3x4) 1 ქ. ლანჩხუთი 1,0 0,24 0,24 2 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში 0,9 0,24 0,216. მუხლი 7. 1)ქონების გადასახადისაგან განთავისუფლდეს: ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვ.მ-ს. ბ) ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვ.მ-ს. 2)ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა, ქონების გადასახადისგან გათავისუფლებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი. 3) ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით. ამასთანავე, ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N3 დადგენილება. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც, რომლის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შედეგად მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურს გამოეყო ეკონომიკის განყოფილება და იგი შევიდა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის შემადგენლობაში, რის გამოც უპრიანი იქნება, თუ აღნიშნულ საკითხს სხდომაზე შემოიტანს მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ეკონომიკის განყოფილების კვლავ მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურისთვის დაბრუნების თაობაზე და საკითხი ჯერ-ჯერობით არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N10(23.03.2023).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებული უნდა იქნას მერიის აუქციონატორის მიერ, პრივატიზებული უძრავი ქონება, კერძოდ 27.03.45.288 და 27.06.51.396 საკადასტრო კოდზე არსებული უძრავი ქონება. ასევე მიზანშეწონილია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით შეფასებული მუნიციპალური ქონება, (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 24 ნოემბრის N008121422 დასკვნით ქონების ღირებულებაა 91744 ლარი) კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათში მდებარე 4893.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.09.50.281) შემდგომში განკარგვის მიზნით, უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.
მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N17(23.03.2023).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ.** მან განმარტა, რომ ამ პროფილის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით ჩამოყალიბების ძირითადი მიზანი მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერება, მათი ეკონომიკური ჩართულობის გაზრდა, დასაქმების ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდაა. იურიდიული პირის მიზნებად განსაზღვრული აქვთ შემდეგი ამოცანები: ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა; ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ადამიანების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების მომზადება/ განხორციელება, მათი ინფორმირება აღნიშნულ სფეროში არსებული სიახლეებისა და სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ეკონომიკური პროექტების შესახებ; გ) მუნიციპალური პროექტების მომზადება კერძო/სახელმწიფო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების აღრიცხვა/ რეკლამირება; ე) ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავება-დაგეგმვა და მარკირება; ვ) ტურისტულ ოპერატორებთან, კომპანიებთან ერთად ინფო-ტურების ორგანიზება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების პოპულარიზაციის მიზნით; ზ) ტურისტული ფესტივალების, ბაზრობების, მოგზაურობების, სპორტულ- გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი გამაჯანსაღებელი და კულტურული ღონისძიებების ჩატარება; თ) სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების განვითარებისათვის

ხელშემწყობი აგროტურისტული აქტივობების დანერგვა; ი) მოზარდებისათვის სასოფლო ტურების მოწყობა; კ) მუნიციპალიტეტში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეკლამირება და სარეალიზაციო ბაზრის მოძიებაში ხელშეწყობა; ლ) სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, მოსახლეობის ტექნიკური და ინფორმაციული მხარდაჭერა; მ) კანონით ნებადართული ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წესდებით მაგრამ არ ეწინააღმდეგება დაწესებულების მიზნებს. იურიდიული პირის საქმიანობისათვის ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.

საკრებულოს წევრი **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, რატომ მოხდა ა(ა)იპ ,,ეკონომიკური განვითარების და ინოვაციების ცენტრის" რეორგანიზაცია და „შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის" დაფუძნება, თუ ყოფილ ა(ა)იპ-ს და ახლანდელ შპს-ს ერთი და იგივე დებულება ექნებოდათ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ შპს-ს მეტი უფლებამოსილება აქვს და ამ კუთხით ტურიზმის განვითარებაზე უფრო მეტი აქცენტი გაკეთდება, კერძოდ, გამოხატული იქნება აგროტურიზმის განვითარება და საშუალება მიეცემათ მოიზიდონ უფრო მეტი გრანტი, ვიდრე ამას გააკეთებდა ა(ა)იპი. მან ასევე აღნიშნა, რომ შპს-ს დაფუძნებას უფრო რთული პროცესები ახლავს, ვიდრე ა(ა)იპის, ამიტომ ეს პროცესი დროში გაიწელა, პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა ამ ორგანიზაციის დებულებაზე, ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხებზე(150000 ლარი) და დასაქმებულთა რაოდენობაზეც(17-18 ადამიანი). მან ასევე ისაუბრა ჩიბათის და ორაგვის მიმართულებით მიმდინარე საგრანტო პროექტებზე. ჩიბათის მიმართულებით გზის გრუნტოვანი მოწესრიგება დასრულებულია და დაიწყება ასფალტის საფარის დაგება, მიმდინარეობს სამუშაოები სხვადასხვა ლოკაციებზე, სადაც მოეწყობა ვიზიტორთა ცენტრი და ღია კაფე, მოხდება მოტორიანი ნავების შეძენა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ხოლო ორაგვის მიმართულებით მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება და ეს საკითხიც იქნება გამოსწორებული.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** ითხოვა, მიაწოდონ ინფორმაცია „შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრში" დასასაქმებელი თანამშრომლების შესახებ.

საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ის არის ყოფილი ა(ა)იპ ,,ეკონომიკური განვითარების და ინოვაციების ცენტრის" თანამშრომელი და მისი დებულება განსხვავდება ახლანდელი „შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის" დებულებისგან. ყოფილ ა(ა)იპ-ის გარკვეული გრანტის მოსაპოვებლად სჭირდებოდა თანააპლიკანტად შპს-ს მოძიება, რომელიც იქნებოდა მისი ფინანსური გარანტორი, ხოლო შპს-თვის ამის საჭიროება არ დგას. მას ექნება უფლება თამამად მოიპოვოს ნებისმიერი გრანტი და შემოსავლები შემოიტანოს მუნიციპალიტეტში. ასევე, იყოს ფუნქციურად უფრო დატვირთული და იმუშაოს გამართულად.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, როცა აუქმებდნენ ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციების ცენტრს, მაშინ რატომ არ ითქვა, რომ მის ნაცვლად აფუძნებდნენ შპს-ს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ წინასწარ არ იყო ცნობილი, თუ რა სახით ჩამოყალიბდებოდა ახალი ორგანიზაცია, ამ საკითხზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საქმიანობისთვის უფრო კომფორტული იქნებოდა შპს-ს შექმნა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 3 წევრი (კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე და ირმა მგელაძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N18(23.03.2023).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედმა სამთავრობო კომისიამ იმსჯელა და გასცა თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციულო ერთეულის - სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** მადლობა გადაუხადა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს გიორგი ხელაძეს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ვერიკო კვირკველიას, საკრებულოს აპარატის უფროსს ნინო ძიძიგურს და საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტაში გაწეული დახმარების გამო.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N19(23.03.2023).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის ჩიბათელი მხედრების სახელის მინიჭების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედმა სამთავრობო კომისიამ იმსჯელა და გასცა თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში - საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულის სკვერისთვის „ჩიბათელი მხედრების“ სახელის მინიჭების თაობაზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N20(23.03.2023).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საფინანსო საბიუჯეტო სამსახურმა განიხილა ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის მოხსენებითი ბარათი ქ.ლანჩხუთში ცენტრალურ მოედანზე არსებულ წრიულზე მდებარე საათის დემონტაჟისა და მის ადგილზე სახელმწიფო დროშის აღსამართად შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით 25000 ლარის გამოყოფის და ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დამატებით 25000 ლარის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული ღონისძიების დაფინანსება განხორციელდეს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის 50000 ლარით შემცირების ხარჯზე, იმის გათვალისწინებით, რომ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიების დაფინანსება განხორციელდება მიმდინარე წლის IIკვარტლიდან და დაფინანსება განისაზღვრება 150000 ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ

სასურველია ცენტრალურ მოედანზე არსებულ წრიულზე სახელმწიფო დროშის დასამონტაჟებელი სამუშაოები 26 მაისისთვის იქნას დასრულებული.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N21(23.03.2023).

დღის წესრიგის მერვე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N24 დადგენილებაში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ: დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების'' მე-3 მუხლის „რ“ და „ს“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „რ) საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 556 , 642 , 771 , 772 მუხლებით, 825 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12−მე-16 ნაწილებით, 1254 , 130, 134, 135, 1351 , 1461 მუხლებით, 148, 1501 , 1512 , 152, 1522 , 1523–1529 , 1534 , 1561 მუხლებით, 1585-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 159 და 1591 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების, კოდექსის 2906 მუხლის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა და სამართალდამრღვევისთვის ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისთვის (იდენტიფიკაციის შემთხვევაში) ადმინისტრაციულ სახდელის (ჯარიმის) ადგილზე შეფარდება; ს) საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 431 , 432 ,465 , 466 , 513 , 533 , 55-ე, 552 , 553 , 556 , 771 , 772 მუხლებით, 825 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103 მუხლის პირველი ნაწილით, 1142 მუხლის მე-6 ნაწილით, 1191 მუხლით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-16 ნაწილის, 1254 , 1271 მუხლის მე5 ნაწილით,130 მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტით, 1341 , 135, 1461 , 148, 150, 1501 , 151, 1512 , 152, 1522 , 152 5 , 1526 , 1527 , 1528 , 1529 , 1534 , 1561 მუხლებით, 158 5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 159, 1591 , 1728 და 1729 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების კოდექსის 2906 მუხლის გათვალისწინებით განხილვა.“

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N22(23.03.2023).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ „საქართველოს კანონში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ განხორციელდა

ცვლილება რომლის თანახმად, განისაზღვრა მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს ვალდებულება, რომ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. ამასთან, ამავე ცვლილებით მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაევალათ 2023 წლის 1 აპრილამდე დაადგინონ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით შემუშავებული იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობს სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შემდგომში - პროექტი). პროექტის მიხედვით განისაზღვრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ (შემდგომში – ზედამხედველობის სამსახური) 2023 წლის 1 აპრილიდან საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 127-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების (შემდგომში მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილება) შესრულების კონტროლის განხორციელების პროცედურული საკითხები, რომელთა მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეჩერებული მშენებლობების კონტროლის პროცესის გაუმჯობესება და კონტროლის მექანიზმების გამკაცრება, რათა სამომავლოდ თავიდან იქნას აცილებული შეჩერებული მშენებლობების გაგრძელების ფაქტები. პროექტის მიხედვით ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია 2023 წლის 1 აპრილიდან მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. შემოწმება, თავის მხრივ გულისხმობს ზედამხედველობის სამსახურში დასაქმებული პირების მიერ, მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილებაში მითითებული შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის აღმოფხვრა/გამოსწორების შემოწმებას. შემოწმების პროცესში კი აუცილებელია გადაღებულ იქნას ობიექტის ფოტოსურათები, რომლებზეც მითითებულ უნდა იქნას გადაღების თარიღი და შედგენილ იქნას დათვალიერების ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს შეჩერებული სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის გამოსწორება/ აღმოფხვრის ფაქტი. ამასთან, პროექტის მიხედვით, თუ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობას აქვს ადგილი, ზედამხედველობის სამსახური იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას და ამზადებს შესაბამის ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს (დადგენილებას) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც არ ათავისუფლებს ზედამხედველობის სამსახურს ვალდებულებისაგან თვეში არანაკლებ ერთხელ შეამოწმოს შეჩერების შესახებ დადგენილების შესრულება. აღნიშნული პერიოდული შემოწმება გრძელდება შეჩერების შესახებ დადგენილებაში მითითებული სამართალდარღვევის აღმოფხვრამდე. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილებაში მითითებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების საფუძველი, ზედამხედველობის სამსახური ამზადებს დადგენილებას „მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სამსახურს აღარ აქვს ვალდებულება შეამოწმოს ხსენებული პერიოდულობით ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა თუ ობიექტზე კვლავ არ გაიცა სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ დადგენილება. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა): დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის. პროექტის მიღება (გამოცემა): დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N23(23.03.2023).

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი დუგლაძის 2023 წლის 1/1-1398 ბრძანებით დამატებითი ქონების სახით გადმოეცა ავტომობილი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად ზემოხსენებული ავტომობილი სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრ“-ს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N24(23.03.2023).

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის ანგარიში სხდომას წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ.** მან განმარტა, რომ 2022 წლის განმავლობაში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭომ ჩაატარა 3 სხდომა; გამართა სამუშაო შეხვედრები საერთაშორისო და ადგილობრივ საერთაშორისო ორგანიზაციებთან; განახორციელა პროექტი „ადრეული ქორწინების პრევენცია, გამომწვევი მიზეზები და გადაჭრის გზები“; ჩაატარა ფოკუს ჯგუფებთან კვლევა.

ქალ მეწარმეებთან, შშმ პირებთან, ექიმებთან და მასწავლებლებთან შეხვედრაზე ისაუბრეს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით გადასადგმელ ნაბიჯებზე, მათ შორის ცნობიერების ამაღლებაზე, ქალების ეკონომიურ და სოციალურ გაძლიერებაზე.
გენდერული საბჭო შეხვდა:
ა) მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს, მოისმინა მათი წინადადებები და პროექტები მუნიციპალიტეტის განსავითარებლად, ასევე ისაუბრა მუნიციპალიტეტში არსებულ გენდერულ გამოწვევებზე.
ბ) ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალებს. იგი აქტიურად იყო ჩართული ვარდისფერი ოქტომბრის ფარგლებში ძუძუს კიბოს შესახებ ცნობადობის ამაღლების კამპანიაში.
საბჭოს ინიციატივით ახალგაზრდებისთვის გაიმართა გენდერის თემატიკაზე ფილმის ჩვენება.
გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მხარდაჭერით ჩატარდა საქველმოქმედო საღამო.
გენდერული თანასწორობის საბჭო კოორდინირებულად მუშაობს სახელმწიფო უწყებებთან:
ა) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭო;

ბ) სახალხო დამცველის აპარატი;

გ) საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

შეხვედრებზე ისაუბრეს გენდერული საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობაზე და მუნიციპალიტეტში არსებულ გამოწვევებზე, გენდერული თანასწორობის საბჭოს გეგმებსა თუ პროექტებზე.

გენდერული თანასწორობის საბჭომ წარადგინა 7 საბიუჯეტო ინიციატივა:
1. ადაპტირებული შუქნიშნის მოწყობა;

2. გზების რეაბილიტაცია:

3. გურული მხედრების მოედნის კეთილმოწყობა;

4. სივრცე მუნიციპალიტეტის შენობაში (მოქალაქეთა ჩართულობისთვის);

5. საცურაო აუზის შეკეთება;

6. სკეიტბორდის გზის მოწყობა;

7. შენობის ფასადის რეაბილიტაცია (სოციალური სამსახური; საოლქო საარჩევნო კომისია).

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ საბჭოს სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს და ყველა იმ ადამიანს, რომელთა მონაწილეობითაც შეძლეს ისეთი პროექტების განხორციელება, რაც მნიშვნელოვანია გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ,** რომელიც ამავდროულად არის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს ვერიკო კვირკველიას ამ კუთხით გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ ის არის ძალიან მოტივირებული და ენერგიული ხელმძღვანელი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის ანგარიში საკრებულოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მან განმარტა, რომ განსახილველად და დასამტკიცებლად, წარმოდგენილი აქვს ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა:
ლესის ადმინისტრაციული ერთეული 32000 ლარი:
ა) ლესა- ადმინისტრაციული შენობის გარე ფასადის რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობა - 20000 ლარი;
ბ) ჭინათი-სადინარი არხის (ცხაურის) მოწყობა და გარე განათების მოწყობა-12000 ლარი.
ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეული 64000 ლარი:
ა) ორმეთი-სკვერის ღობის მოწყობა და სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობა რკ/ბეტონის საფარით-12000 ლარი;
ბ) ომფარეთი-გარე განათების მოწყობა და სასაფლაოს შემოღობვა-16000 ლარი;
გ) ღრმაღელე-სკვერის შემოღობვა და სანიაღვრე არხების მოწყობა-16000 ლარი;
დ) წყალწმინდა-გარე განათების მოწყობა და გზის მოხრეშვა-20000 ლარი.
შუხუთის ადმინისტრაციული ერთეული 32000 ლარი:
ა) ზემო შუხუთში-სასაფლაოს შეღობვა და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება-12000 ლარი;

ბ) ზემო შუხუთში-ა.კალანდაძის ქუჩაზე დაზიანებული მილხიდის აღდგენა-12000 ლარი;

გ) შუხუთის ცენტრში მშენებარე სკვერის დასრულება და შუხუთის ადმინისტრაციული შენობის ეზოს მოწესრიგება-20000 ლარი.

მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეული 36000 ლარი:

ა) ჯუნმერე-სანიაღვრე არხის დამონტაჟება ჯაყელის უბანში და სპორტული ინფრასტრუქტურა ჯუნმერეს სტადიონზე-10000 ლარი;

ბ) მაჩხვარეთი-კვირკველიების უბანში ახალ სასაფლაოზე შეღობვითი სამუშაოები და გარე განათება ნოზაძეების უბანში-16000 ლარი;

გ) ორაგვე-სანიაღვრე არხის დამონტაჟება შორენა გოგიჩაიშვილის უბანში და სკვერის კეთილმოწყობა ორაგვის სასაფლაოს წინ-10000 ლარი.

გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეული 28000 ლარი:

ა) ჯუნეწერი-სპორტული ინფრასტრუქტურა/კლუბის კეთილმოწყობა-12000 ლარი;

ბ) სასაფლაოს შემოღობვა-კეთილმოწყობა და გზაზე ბეტონის საფარის დაგება-16000 ლარი.

ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული 40000 ლარი:

ა) ჭალა-გარე განათება სასაფლაოს გზაზე, მილხიდის მოწყობა ავტ. მაგისტრალის გასწვრივ და მილხიდის მოწყობა საყანე ფართობში-12000 ლარი;

ბ) ქვემო ჩიბათში-სოფლის ბიბლიოთეკის მოწყობა, წყლის მილების შეძენა და სულაბერიძეების უბანში მოსაცდელის მოწყობა-16000 ლარი;

გ) ზემო ჩიბათში-ოთახის გარემონტება, სპორტული ინვენტარის შეძენა, ცენტრალურ მაგისტრალზე განათება და რვა ბოძი "ლაბახო" მდინარის გადაღობვა-12000 ლარი.

ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეული 74000 ლარი:

ა) გულიანი-სკვერის მოწყობა და გარე განათების დასრულება-12000;

ბ) ჩოჩხათი-გარე განათების დასრულება და გზის რეაბილიტაცია-16000 ლარი;

გ)კოკათი-გარე განათების მოწყობა და გზის რეაბილიტაცია-10000 ლარი;

დ) ხორეთი-გზის რეაბილიტაცია 12000 ლარი;

ე) მოედანი-წყლის სისტემის მოწესრიგება და გარე განათების დასრულება-12000 ლარი;

ვ) შრომისუბანი-გარე განათების დასრულება და გზის რეაბილიტაცია-12000 ლარი;

ზ) ჯიხანჯირი-გარე განათების დასრულება და გზის რეაბილიტაცია-12000 ლარი.

ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეული 24000 ლარი:

ა) ყელა-გზის მოხრეშვა მთის ჩამონაშალი ქანით-12000 ლარი;

ბ)ნინოშვილი-გზის მოხრეშვა მთის ჩამონაშალი ქანით და გარე განათების გაგრძელება-12000 ლარი.

ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეული 40000 ლარი:

ა) ბაღლეფი-გარე განათების მოწყობა (ყოფილი II ბრიგადა) და გარე განათების მოწყობა (ყოფილი III ბრიგადა)-12000 ლარი;

ბ)ეწერი-ამბულატორიის ეზოს შემოღობვა და მოწყობა 12000 ლარი;

გ)ჯურუყვეთი-გარე განათების მოწყობა (ყოფილი IV ბრიგადა), გარე განათების მოწყობა (რკინიგზის გასწვრივ), გარე განათების მოწყობა (ყოფილი V ბრიგადა), სკოლის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა და გარე განათების მოწყობა (ყოფილი I ბრიგადა)-16000 ლარი.

აცანის ადმინისტრაციული ერთეული 28000 ლარი:

ა) აცანა-გარე განათება (ცენტრის მიმდებარე ტერიტორია, კვიჭიძეები, თედორაძეები, ეწერი), ტენისის მაგიდა (სკოლა) და ადმინისტრაციულ ერთეულში სველი წერტილისთვის ავზის შეძენა-16000 ლარი;

ბ) ტელმანი-კანიონთან მიმდებარედ განათების მოწყობა-12000 ლარი.

აკეთის ადმინისტრაციული ერთეული 54000 ლარი:

ა) გაგური-გარე განათების მოწყობა და სოფლის ცენტრში საპირფარეშოს რეაბილიტაცია-10000 ლარი;

ბ) ჭანჭათი-სოფელ ჭანჭათის ცენტრის რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობა-16000 ლარი;

გ) ზემო აკეთი-სპორტული მოედნის მოწყობა, ტენისის და ჩოგბურთის მაგიდის შეძენა და

გარე განათების მოწყობა-12000 ლარი;

დ) ქვემო აკეთი-გარე განათების მოწყობა სხვადასხვა უბნებში და სპორტული ინვენტარის შეძენა-16000 ლარი.

მამათის ადმინისტრაციული ერთეული 44000 ლარი:

ა) მამათი-ადმინისტრაციული შენობის ირგვლივ ღობის რეკონსტრუქცია, განათებების მოწყობა და ომში დაღუპულთა მემორიალის რესტავრაცია-12000 ლარი;

ბ)ქვემო მამათი-ადმინისტრაციული შენობის ირგვლივ ღობის რეკონსტრუქცია, განათებების მოწყობა და 1941-45 წლებში ომში დაღუპულთა მემორიალის რესტავრაცია-10000 ლარი;

გ)კონჭკათი-ადმინისტრაციული შენობის ირგვლივ ღობის რეკონსტრუქცია, განათებების მოწყობა და 1941-45 წლებში ომში დაღუპულთა მემორიალის რესტავრაცია- 12000 ლარი;

დ) შათირი-გარე განათების მოწყობა სასაფლაოს ღობისთვის მავთულბადის შეძენა-10000 ლარი.

სუფსის ადმინისტრაციული ერთეული 92000 ლარი:

ა) ახალსოფელი-გარე განათების მოწყობა და წყლის სისტემის რეაბილიტაცია-16 000 ლარი;

ბ) ტაბანათი-სანიაღვრე არხების გაწმენდა და წყლის სისტემის რეაბილიტაცია-16000 ლარი;

გ) ჩქუნი-წყლის სისტემის მოწყობა და სანიაღვრე არხის გაწმენდა-10000 ლარი;

დ) სუფსა-გარე განათების მოწყობა და სანიაღვრე არხის გაწმენდა--12000 ლარი;

ე) ხიდმაღალა-გარე განათების მოწყობა და სანიაღვრე არხის გაწმენდა--16000 ლარი;

ვ)გრიგოლეთი-სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია-12000 ლარი;

ზ) მალთაყვა-სპორტული სივრცის მოწყობა (ტრენაჟორები) და შიდა გზების მოხრეშვა-10000 ლარი.

ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეული 86000 ლარი:

ა) ნიგოითი-გარე განათების მოწყობა სასაფლაოსკენ და მშენებარე სამლოცველოსკენ მისასვლელ გზაზე და ღია სანიაღვრე არხების ამოწმენდა, რუსთაველის, წმ.გიორგის, თავისუფლების, თამარ მეფის, ავთანდილ კალანდარიშვილის, ნოდარ დუმბაძის ქუჩებზე-16000 ლარი.

ბ) ჩოლობარგი-სოფლის ცენტრში სკვერის და ფანჩატურის მოწყობა ინვენტარით16000 ლარი;

გ) ჭყონაგორა-სასაფლაოს შემოღობვა და სკვერის ეზოში საპირფარეშოს მოწყობა-16000 ლარი;

დ)ჯაპანა-წმ.გიორგის ქუჩის გზის რეაბილიტაცია, მოხრეშვა, დაგრეიდერება, მოსწორება-12000 ლარი;

ე) ქვიანი-სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მობეტონება "ფიჩორის" უბანში-16000 ლარი;

ვ) ჯიხეთის მონასტერი-არსებული ყორე-ქვის ღობის მშენებლობის გაგრძელება სარეკრიაციო სივრცის კეთილმოწყობისათვის-10000 ლარი.

ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეული 62000 ლარი:

ა)ნიგვზიანი-სველი წერტილის მოწყობა ბიბლიოთეკის ეზოში, გარე განათების მოწყობა და ღია არხის გაწმენდა-20000 ლარი;

ბ) ხაჯალია-ცხაურის მოწყობა და გზის ორმოვანი შეკეთება ჯიხანჯირის უბანში, გარე განათების მოწყობა და ღია არხი და ცხაური სპარტაკ თევზაძის კარ-მიდამოსთან-20000 ლარი;

გ) არჩეული-გზისპირა მოსაცდელი და გარე განათების მოწყობა-12000 ლარი;

დ) ჩანჩეთი-ბეტონის არხის მოწყობა 10000 ლარი.

სულ 748000 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.
მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N25(23.03.2023).
დღის წესრიგის მეცამეტე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილება განპირობებულია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში შეტანილი ცვლილებით, რომელიც ძალაში შედის 2023 წლის 1 აპრილს, რის საფუძველზეც გაიწერა მოთხოვნა, რომ მშენებლობის შეჩერების შესახებ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული მშენებლობის შეუჩერებლობის შემთხვევაში შესაძლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N11 დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების ფორმა შესაბამისად საჭიროებს ზემოაღნიშნული ცვლილების ასახვას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.
საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ რადგან მშენებლობის შეჩერების შესახებ ზედამხედველობის განხორციელება არის სერიოზული ფუნქცია, იგი მერიის ზედამხედველობის სამსახურს დაემატება თუ ცალკე სამსახური შეიქმნება.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მიუხედავად რიგი სირთულეებისა, ეს ფუნქცია მერიის ზედამხედველობის სამსახურს დაემატება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.
მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N26(23.03.2023).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრი **ირმა მგელაძე** დაინტერესდა, რა სახით ფუნქციონირებს გვიმბალაურის საფეხბურთო აკადემია, რომლის რეაბილიტაციაზე მილიონი ლარი იქნა დახარჯული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ასევე, რა პროფილით და როდის იწყებს ფუნქციონირებას ახლად აშენებული პროფესიული სასწავლებელი. დასასრულს კი გამოთქვა სურვილი, ლანჩხუთის საპატიო მოქალაქის სტატუსი მიენიჭოს ამაგდარ ექიმს, დათო ურუშაძეს, რისთვისაც ის მოამზადებს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, ხოლო შემდგომში იმედს იტოვებს, რომ კოლეგები მხარს დაუჭერენ.

საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ წერილობით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს სასულიერო გიმნაზიის ფასადის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რაზეც მიიღო პასუხი, რომ აღნიშნული შენობა არ არის მუნიციპალიტეტის საკუთრება და შესაბამისად ვერ მოახდენდა მისი ფასადის მოწესრიგებას. მიმდინარე წლის თებერვალში მთავრობამ მიიღო დადგენილება მუნიციპალური და არამუნიციპალური უსახური შენობების ფასადების მოწესრიგებაზე მერებისთვის უფლების მიცემის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, სასულიერო გიმნაზიის ფასადის მოწესრიგება არ იქნება უკანონო ქმედება. ის დაინტერესდა, რას აპირებს მუნიციპალიტეტის მერი ამ საკითხთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, საკრებულოს წევრმა უკმაყოფილება გამოთქვა სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლების არაპროფესიონალიზმის გამო, რადგან მათ ვერ მოახერხეს ებრალიძის ოჯახში ხანძრის დროულად ლოკალიზება მაშინ, როცა შესაძლებელი იყო ამ სახლთან ოთხივე მხრიდან მიდგომა და ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ არ ჰქონდათ საკმარისი წყალი, რის გამოც დასახმარებლად სახანძრო მანქანა ცხრა ტონიანი წყლის ავზით ჩამოვიდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, რა ხდება საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურიასთან“ დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურიასთან“ დაკავშირებით ყველა საკითხში ჩახედულია და შესაძლებლობიდან გამომდინარე აკეთებს მაქსიმუმს, რათა გავიდნენ სასურველ შედეგზე. ამ ეტაპზე გუნდი იმყოფება ათდღიან შეკრებაზე, პარალელურად იმართება ამხანაგური თამაშები, ხოლო ჩემპიონატი დაიწყება ხუთ აპრილს.

საკრებულოს წევრი **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, კმაყოფილია თუ არა ხელმძღვანელობა საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურიას“ დღევანდელი შემადგენლობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ამ ეტაპზე კლუბში აქტიურად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. ახალმა სპონსორმა დაფარა ძველი ვალდებულებები, შეკრიბა გუნდი, მოიყვანა ახალი მწვრთნელი, ხელშეკრულების მიხედვით, მიმდინარე წელს სპონსორმა უნდა დახარჯოს 700000 ლარი და წარმოადგინოს სამომავლო ხარჯების საგარანტიო. კლუბი გატანილი იყო აუქციონზე და მასში მონაწილეობა არავინ არ მიიღო. შემდეგ გამოჩნდა ეს სპონსორი, რომელმაც გუნდი დაშლას გადაარჩინა.

საკრებულოს წევრმა **გოჩა ჯანაშიამ** აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურიას“ ირგვლივ მეტი ცნობადობისთვის კარგი იქნება, თუ ამუშავდება ვებგვერდი და მოეწყობა გულშემატკივრებთან შეხვედრები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** გამოთქვა მზაობა სამუშაო შეხვედრების გამართვასთან დაკავშირებით, სადაც გაეცნობიან და განიხილავენ საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურიას“ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს.

საკრებულოს წევრმა **გოჩა ჯანაშიამ** აღნიშნა, რომ მის ეზოში გადის სოფლის ღელე, რომელიც წყალდიდობის დროს ტბორავს საკარმიდამო ნაკვეთს და ითხოვა დახმარება ნაპირსამაგრი ჯებირების მოსაწყობად. ის ასევე დაინტერესდა ქვიანის ბიბლიოთეკის საკითხით.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსაში მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები, რადგან იტბორება სახნავ-სათესი ნაკვეთები ავტობანის მიმდებარედ, ასევე ხიდმაღალას სასაფლაოდან მდინარე სუფსამდე მონაკვეთში არსებული არხი, ჩამოწოლილი მეწყერის გამო, ვერ ატარებს წყალს. გარდა ამისა მან მოითხოვა, რომ მოხდეს საკრებულოს წევრების საწვავით უზრუნველყოფა და სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯის გაზრდა.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** ასევე აღნიშნა, რომ ფრაქციამ ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ წერილობით მიმართა მერიის შესაბამის სამსახურს მიეწოდებინათ ინფორმაცია სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, კერძოდ, შემოსული და დაკმაყოფილებული განცხადებების(ზარების) რაოდენობას, მაგრამ მიღებულ პასუხში არის ინფორმაცია გაცემულ ფულად კომპენსაციებზე და გადახურული სახლების თაობაზე, ხოლო შემოსული და დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობის შესახებ არაფერია.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზარალებული რვა ოჯახიდან ვერ დაკმაყოფილდა ერთი-უკიდურესად ავარიული სახლის მეპატრონე ჯემალ ხარაბაძე, რომელიც ამავდროულად შშმ პირია და ითხოვა დახმარება. მან ასევე აღნიშნა, რომ ჯურუყვეთში, მთიულა ხოზრევანიძის სახლთან მისასვლელი გზა არ არის, ასევე, რამდენიმე უბანში დასამატებელია ნაგვის ურნა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ გვიმბალაურის საფეხბურთო აკადემიას დროებით შეუჩერდა სტატუსი, მაგრამ არის საუბრები, რომ შემოდგომიდან ძველი სტატუსით იფუნქციონირებს, ხოლო მანამდე დაიტვირთება სპორტის სხვადასხვა სახეობებით. რაც შეეხება ახლად აშენებულ პროფესიულ სასწავლებელს, მიმდინარეობს სამუშაოები კონტინგენტის შესარჩევად და მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერის თვეებში იგეგმება გახსნა.

მან ასევე გამოთქვა მზაობა, დავით ურუშაძისთვის საპატიო მოქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკითხი მოგვარდება, როცა შემოვა ამისათვის საჭირო სრულყოფილი დოკუმენტაცია, ხოლო რაც შეეხება სასულიერო გიმნაზიის ფასადს, ნამდვილად მოსაწესრიგებელია, მაგრამ ამ ეტაპზე ბიუჯეტში არ არის საკმარისი თანხა.

მუნიციპალიტეტის მერმა ასევე განმარტა, რომ ნაპირსამაგრი სამუშაოების ერთი ეტაპი უკვე სრულდება და დაიწყება მეორე ეტაპი, რომელზეც საუბარი იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან, რომ გამოიყოფა 2-3 მილიონი ლარი, ხოლო სოფლებში სანიაღვრე არხების მოსაწესრიგებლად თანხები გამოიყო სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი პროგრამიდან და ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება მოსახლეობასთან, რადგან ზოგან საჭიროა სანიაღვრე არხების მათ ეზოებში მოწყობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება მოხდა მიყენებული ზიანის სიმძიმის შესაბამისად. ჯემალ ხარაბაძის სახლს გამოუცვალეს სახურავი, მისი თქმით, იგი მეწყერსაშიშ ზონაშია, რის დასადასტურებლადაც საჭიროა გეოლოგების დასკვნა, რომლის საფუძველზეც მოხდება შემდგომი რეაგირება. მან ასევე აღნიშნა, რომ მთიულა ხოზრევანიძე დასახლდა ისეთ ადგილას, სადაც არასოდეს არ ყოფილა გზა, ამიტომ ამ გზის გაკეთება მოხდება ეტაპობრივად, რადგან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მან ასევე აღნიშნა, რომ ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდება დაზიანებული ურნების ჩამოწერა და მათი შეცვლა ახლით, ასევე დაემატება ნაგავმზიდი მანქანაც, მაგრამ იმ უბნებში სადაც გზები არ არის მოწესრიგებული, მანქანა ვერ შევა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი